თამარ სიმონია

ტექნოლოგიებისა და ხელოვნების გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი ვარშავაში, პოლონეთი

7-11 ივლისს, Erasmus+ ადმინისტრაციული მობილობის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის არქიტექტურისა და დიზაინის სკოლის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის (არქიტექტურის სტუდიის) ხელმძღვანელმა, თამარ სიმონიამ მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო კვირეულის პროგრამაში ტექნოლოგიებისა და ხელოვნების გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში ვარშავაში, პოლონეთი.

საერთაშორისო კვირეულის განმავლობაში უნივერსიტეტის წარმომადგენელი ჩართული იყო სხვადასხვა აქტივობებში, რომლებიც მიზნად ისახავდა გამოცდილების გაზიარებას, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებასა და Erasmus+ პროგრამის ფარგლებში არსებული შესაძლებლობების გაცნობას.

პროგრამის ფარგლებში, მონაწილემ წარადგინა პრეზენტაცია კავკასიის უნივერსიტეტის შესახებ და ისაუბრა მიმდინარე პროგრამებზე და საერთაშორისო პროექტებზე. ასევე, მიიღო მონაწილეობა ინტერაქციულ სესიებსა და სამუშაო შეხვედრებში, რომლებიც მოიცავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე მორგებული სივრცეების შექმნას და ამ ხედვაზე დაფუძნებული სიმულაციების დანერგვას. აღსანიშნავია, რომ პროგრამა მოიცავდა კულტურულ კომპონენტსაც, პოლონური ენის მასტერკლასი და გასვლითი ტური ვარშავის ძველ ქალაქსა და სასახლეში.

მობილობა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო კავკასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ჩართულობის გასაფართოებლად და Erasmus+ პროგრამის ფარგლებში არსებული პარტნიორული კავშირების გასამყარებლად.